## კაცი ის არის

კაცი ის არის,
ვინც ოფლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით
დედა მიწასა
და მის წიაღსა
ღვთისა მადლობით, მხიარულებით

*

აპობს და არღვევს,
დაღალვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს;
და იმ ტკბილს ნაყოფს
ქვრივ-ოხერთ უყოფს
და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.

*

კაცი ის არის,
ვისაც გულს ესმის
ციური სიტყვა: "ძმობა, ერთობაა
და სიყვარულით
აღვსილის გულით
.დავრდომილ ძმათა მოეხმარება;

*

ვინც საქმით ქველით,
გონებით, სწავლით
მიახლოვდება მაღალ ღვთაებას;
ვინც ცდილობს მისწვდეს
და ჭკუით მიხვდეს
საღმრთო განგების იდუმალ ნებას,ე

*

გამოიძიოს,
გამოიკვლიოს
დიდი, უსაზღვრო ღვთისა ქმნილება,
და ჰპოვოს მასში,
იმ ღვთის დიდს ღვაწლში
მის საიდუმლო: ჭეშმარიტება.

*

და მის ძლიერიო
სიტყვით და აზრით,
ვით აბგარ-აბჯრით, მთლად შეიჭურვოს,
და იგი სიტყვა,
მღელავი ვით ზღვა,
მაღლა უშიშრად ერთა ამხილოს.

*

ვინც უდგას შორსა
სიცრუვეს, შურსა,
ვის არ ეხება პირმოთნეობა;
აქვს სული წრფელი,
სიტყვა ნათელი,
გულს დაიმარხა ჭეშმარიტება;

*

ვის არა სცხვენის.
ვის არ ეშინის,
იგი მაღალთა მაღლა ასმინოს,

და იმ ღვთაებას,
ჭეშმარიტებას,
არ დაიზოგოს, თავი შესწიროს.

*

ვინ ვრაცხოთ კაცად?
არ ვიცი არსად,
ვერსად ვერ, ვპოვებთ მას წმიდა არსსა.
იყო კი ერთი,დ
ის იყო ღმერთი.
ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა!
1882 წ.